ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 431

27 ნოემბერი
"---"-------- 2015 წ

ქ. თბილისი

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული,ქ.თბილისში, გალაქტიონის ძეგლის მიმდებარედ არსებული უძრავი ქონების (ს/კ №01.14.14.003.171) სს "აქსის თაუერსისათვის" (ს/კ №405077704) პირდაპირი განკარგვის ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 118[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. თანხმობა მიეცეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2015 წლის 18 ნოემბრის №46.21.1322 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ.თბილისში, გალაქტიონის ძეგლის მიმდებარედ 109 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ №01.14.14.003.171) სს "აქსის თაუერსისათვის" (ს/კ 405077704) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სასყიდლით პრივატიზებაზე, ზემოაღნიშნული განკარგულების შესაბამისად.

2. ქონების საპრივატიზებო საფასური განისაზღვროს 91 560 ლარის ოდენობით.

3. განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი

დანართი 1

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ

ქ. თბილისი _____ 2015წ.

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" შესაბამისად. ქ. თბილისის მთავრობის _____ განკარგულების საფუძელზე 2015 წლის _____, ერთის მხრივ, ქ. თბილისის მთავრობის სახელით - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტო (შემდგომში „გამყიდველად" წოდებული; მის. ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7, წარმოდგენილი სააგენტოს ___ მიერ-- პირადი ნომერი: № __) და მეორეს მხრივ, სს „აქსის თაუერსი"(ს/კ405077704) (შემდგომში „მყიდველი",) წარმოდგენილი (პ/ნ: _____) სახით ვაფორმებთ ამ ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების (ნასყიდობის) საგანი

ამ ხელშეკრულებით, გამყიდველი მყიდველს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის _____ განკარგულებით განსაზღვრული საპრივატიზებო პირობებით, საკუთრებაში გადასცემს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ქ.თბილისში, გალაქტიონის ძეგლის მიმდებარედ მდებარე უძრავი ქონებას (საკადასტრო კოდი 01.14.14.003.171).

მუხლი 2. საპრივატიზებო საფასური (ნასყიდობის საფასური), მისი გადახდის წესი და პირობები

2.1 ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული უძრავი ქონება გაიყიდა 91 560 ლარად.

2.2 საპრივატიზებო საფასურის გადახდა უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში.

2.3 მყიდველის მიერ 2.1 პუნქტით გათვალისწინებული თანხის გადახდა უნდა მოხდეს შემდეგ საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის გზით-

სახაზინო კოდი: TRESGE22

ანგარიშის ნომერი: 20012290

სახაზინო კოდი: 300773306

მუხლი 3. საკუთრების უფლების გადაცემა

საკუთრების უფლება გამყიდველის მიერ მყიდველს გადაეცემა ნასყიდობის ფასის სრულად გადახდის შემდგომ, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემისა და საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ, საპრივატიზებო პირობების შესრულების პირობით.

მუხლი 4. საპრივატიზებო პირობები

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის _____ განკარგულებით, საპრივატიზებო პირობებად განისაზღვრა:

4.1 საპრივატიზებო საფასურის გადახდა ნასყიდობის ხელშეკრულების ხელმოწერიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში.

მუხლი 5. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

5.1 გამყიდველი იღებს ვალდებულებას, ამ ხელშეკრულების ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმების შემთხვევაში, საპრივატიზებო საფასურის სრულად გადახდის დადასტურების შემდგომ, ნასყიდობის საგანზე მყიდველს დაუდასტუროს საკუთრების უფლება შესაბამისი საკუთრების მოწმობის გაცემის გზით.

5.2 მხარეებმა განაცხადეს, რომ ამ ხელშეკრულების პირველი მუხლით განსაზღვრული უძრავი ქონება ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლოა. ნასყიდობის საგნის ხარისხი შეთანხმებულია მხარეთა შორის. მყიდველმა მოიწონა ნასყიდობის საგნის ხარისხი.

5.3 შეძენილ ქონებაზე საკუთრების უფლების დადასტურებამდე, მყიდველს არ აქვს უფლება, გამყიდველთან შეთანხმების გარეშე, გადაცემული ქონება განკარგოს, გასცეს სარგებლობის უფლებით ან სხვაგვარად დატვირთოს იგი. ამასთან, მყიდველი პასუხისმგებელია მიღებული ქონების მოვლა-პატრონობასა და დაცვაზე.

5.4 მყიდველი ვალდებულია, უზრუნველყოს ნასყიდობის საგანზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემისთანავე, გონივრულ ვადებში.

5.5 საპრივატიზებო პირობებისა და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან დარღვევის შემთხვევაში მყიდველი იღებს წერილობით გაფრთხილებას, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და ეკისრება მე-6 მუხლით განსაზღვრული პირგასამტეხლო.

5.6 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების და ვალდებულებების განმეორებით შეუსრულებლობის შემთხვევა ან/და დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განიხილება ხელშეკრულების მოშლის საფუძვლად და გამყიდველი უფლებამოსილია მყიდველს ცალმხრივად ჩამოართვას საკუთრებიდან ამ ხელშეკრულებით გადაცემული ქონება. ამავე დროს, გადახდილი საპრივატიზებო საფასური მყიდველს უკან არ დაუბრუნდება.

მუხლი 6. პირგასამტეხლო

6.1 საპრივატიზებო პირობებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის დარღვევის შემთხვევაში მყიდველს ეკისრება პირგასამტეხლო (საურავი) გამყიდველის სასარგებლოდ გადაუხდელი თანხის 0,1%-ის ოდენობით, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. პირგასამტეხლოს დარიცხვა გაგრძელდება ნასყიდობის საფასურის შესაბამის პერიოდში გადასახდელი ნაწილის სრულ გადახდამდე.

6.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში მყიდველს გამყიდველის სასარგებლოდ ეკისრება პირგასამტეხლო 100 ლარის ოდენობით.

6.3 პირგასამტეხლოს გადახდა უნდა განხორციელდეს შემდეგ ანგარიშზე ჩარიცხვით:

სახაზინო კოდი: TRESGE22

ანგარიშის ნომერი:

მუხლი 7. სხვა პირობები

7.1 ამ ხელშეკრულების თითოეული გვერდი საჭიროებს მხარეთა ხელმოწერას.

7.2 ეს ხელშეკრულება შედგენილია 3 თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად და ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან.

7.3 ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავის არსებობის შემთხვევაში მხარეებს შეუძლიათ მიმართონ საქართველოს შესაბამისი იურისდიქციის მქონე სასამართლოს.

7.4 ნასყიდობის საგანზე მყიდველის საკუთრების უფლების რეგისტრაციის მიზნით, სავალდებულოა, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესაბამისი სარეგისტრაციო სამსახურს, ამ ხელშეკრულებასა და საკუთრების დამადასტურებელ მოწმობასთან ერთად წარედგინოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი განკარგულება - ამ ხელშეკრულების შეთანხმების თაობაზე.

გამყიდველი: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტო

მყიდველი: სს „აქსის თაუერსი“